საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 1 21 01570253

18/06/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

2021 წლის №5889/4-2/21 წერილის პასუხად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, აღნიშნულ დეპარტამენტში არსებული აღრიცხვიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში, გაცნობებთ, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42^{11} მუხლით (ძალაში შევიდა 2020 წლის 12 ივნისიდან), 2020 წლის 12 ივნისიდან - 31 დეკემბრის პერიოდში, სამინისტროს დანაყოფების მიერ გამოვლენილ იქნა - 58 857 სამართალდარღვევის ფაქტი, ხოლო 2021 წლის იანვარი-მაისის პერიოდში, გამოვლენილ იქნა 147 073 (წინასწარი მონაცემები) სამართალდარღვევის ფაქტი.

შენიშვნა: სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში რეალიზებულია მონაცემთა ცენტრალიზებულად შეგროვების მანუალური და ავტომატიზირებული მეთოდები, რომელთაც რეგისტრაციის სხვადასხვა პერიოდულობა, აგრეთვე სისრულისა და კორექტულობის განსხვავებული ხარისხი ახასიათებთ. აქედან გამომდინარე, საინფორმაციო მასივების ცალკეული კატეგორიების მიხედვით, მონაცემთა შემდგომი დამუშავება წარმოებს მრავალჯერადად - პირველადი, შუალედური და შემაჯამებელი ანგარიშგების სახით.

პატივისცემით,

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის
მოადგილე თათია ცეცხლაძე